ISSN 1512-1801

The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

მასწავლებელი და სოციალური გარემო

იდაძე ნათია
ტყიბულის რაიონის სოფ. გელათის საჯარო სკოლა

ანოტაცია:
ნაშრომი მიზნად ისახავს გვიჩვენოს , თუ რა პრობლემები წარმოიშვება მასწავლებლისა და მოსწავლის , მშობლის ურთიერთობაში, ასევე განხილულია პრობლებების გადაჭრის გზები, მასწავლებლის და მოსწავლის სკოლისგარეშე ადაპტაციის პრობლემები.
პედაგოგიკაში აღნიშნულ თემას ყველა თეორეტიკოსი ეხება და აღნიშნავს, რომ სკოლასა და ოჯახს შორის მჭიდრო კავშირზე დაყრდნობით სკოლამ მშობლებს შორის უნდა გაავრცელოს პედაგოგიური განათლება. ძალზე მნიშვნელოვანია მშობლების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. აღსაზრდელთათვის მნიშვნელოვანია მშობლების სისტემატური ყურადღება, თანადგომა და თანამშრომლობა, რასაც განაპირობებს მშობლის შეგნებული დამოკიდებულება სწავლა-აღზრდისას შვილის პრობლემებისა და შეცდომებისადმი. პედაგოგის პროფესიული საქმიანობის ერთ-ერთი სპეციფიური მხარეა აგრეთვე ბავშვებთან აქტიური ურთიერთობა სკოლის გარეთ. პედაგოგი/აღმზრდელი, პირდაპირ და ირიბადაც, არსებით გავლენას ახდენს ბავშვებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამიტომ აუცილებელია სისტემატურად მოახდინოთ პროფესიული თვითანალიზი და შემდგომი პროფესიული თვითაღზრდა.
აღნიშნული საკითხები დღესდღეობით ძალზე აქტუალურია. მასში წამოჭრილი პრობლემები თანამედროვე საზოგადოების ინტერესის სფეროს მოიცავს, რადგან შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს განათლების ხარისხზე.

საკვანძო სიყვები: *ოჯახისა და სკოლის ურთიერთობა. მშობოლის როლი სასწავლო პროცესში.*

მასწავლებლის პროფესია ყველასათვის ნაცნობი და ახლობელია. ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში ყველას გვყავს მასწავლებელი და ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ პედაგოგის პიროვნებას და პროფესიონალიზმს მნიშვნელოვანი კვალის დატოვება შეუძლია ადამიანის მომავალ ცხოვრებაზე.

ვფიქრობ სწორედ ამიტომ სკოლაში გამორჩეული პიროვნებების მოზიდვას და პედაგოგებში პროფესიონალიზმის ამაღლებას, ჩვენი ქვეყნის მომავალისათვის მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

მასწავლებლობა შემოქმედებითი პროფესიაა, რომელიც მუდმივ გონებრივ მუშაობას, უდიდეს სულგრძელობას, ბავშვების სიყვარულს და საქმის უსაზღვრო ერთგულებას მოითხოვს. ყველა პედაგოგმა უნდა იცოდეს, რომ ტაძრისკენ მიმავალ გზაზე მართლაც მუდამ სანთელივით უნდა ენთო და იწვოდე, რომ შენს

ISSN 1512-1801

აღზრდილებს თამამად შეეძლოთ გითხრან: " ვინც ვარ და რაც ვარ, - შენით შევძელი და საგზლად შენი ამაგი დამაქვს " [3,19]. სკოლის ბედ-იღბალი მასწავლებელზეა დამოკიდებული. ნოდარ დუმბაძე კი აღნიშნავს: მე ჩემს მასწავლებლად ის ადამიანები მიმაჩნია, რომლებმაც საგანი კი არ შემასწავლეს, არამედ შემაყვარეს, ჩემთვის მასწავლებლობა საგნის ცოდნა კი არ არის, არამედ ღვთით მონიჭებული უნარი, სხვას გადასცე ცოდნა და ისე შეაყვარო საგანი, რომ განცვიფრებულმა იფიქროს, ეს რომ არ მცოდნოდა, რა მეშველებოდა, ამ ჩემს ცხოვრებას რა ფასი ექნებოდაო. მასწავლებლობა უდიდესი საიდუმლოს გამხელას უნდა ჰგავდეს. მოძღვარი შეგირდისათვის მისანი უნდა იყოს, მისანი, რომელიც მას ბუნების საიდუმლოს ანდობს. [3, 203].

პედაგოგისა და ბავშვის ურთიერთობისას ბავშვზე პოზიტიური ზემოქმედების გასაძლიერებლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგის იმიჯს. როცა ბავშვს გაკვეთილს ავტორიტეტული მასწავლებელი უტარებს, ბავშვს უკვე აქვს იმის განწყობა, რომ ყურადღებით მოისმინოს ახსნილი მასალა და დაინტერესდეს საგნით. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ავტორიტეტული მასწავლებელი არ უნდა ცდილობდეს მოსწავლეთა პასიურობის დაძლევას და სხვადასხვა საშუალებებით მათ ჩართვას სასწავლო პროცესში.

ფსიქოლოგიური გამოკვლევების თანახმად, მასწავლებელთა უმრავლესობას ესმის, რომ მათი ავტორიტეტის დონეს განსაზღვრავს მუშაობის პროდუქტიულობა. მასწავლებლები ასევე იოლად ასახელებენ იმ პიროვნულ თვისებებს, რომლებიც ავტორიტეტის მოპოვებისთვისაა აუცილებელი. მიუხედავად ამისა, დასახელებულ თვისებათა პრაქტიკული გამოვლენა მასწავლებელთა უმეტესობისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამგვარი მდგომარეობა ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმების ჩართვის შედეგია, რომელიც პიროვნებას თვითშეფასების დაქვეითებისაგან იცავს. მეორე მხრივ, ავტორიტეტის დონეზე ნეგატიურ გავლენას ახდენს სწავლების პასიური მეთოდები. ეს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის დისტანციას ქმნის და აგრეთვე ეფექტურ უკუკავშირს აძნელებს.

მასწავლებელთა დიდი ნაწილი თვლის, რომ "მასწავლებლის იდეალი" არ იცვლება. მცირე ნაწილის აზრით კი ეს იდეალი შეიცვალა და ამ მხრივ შეიძლება დადებითი და უარყოფითი მომენტების გამოყოფა. დადებითია ის, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დისტანცია შემცირდა, ჩამოყალიბდა ურთიერთობის უფრო მჭიდრო, უშუალო ფორმები. უარყოფითია მასწავლებლის ზოგადი მსოფლმხედველობისა და ინტელიგენტურობის დაქვეითება.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი კონკრეტულად კი არ ასახელებს "იდეალური მასწავლებლისთვის" დამახასიათებელ თვისებებს, არამედ მიუთითებენ კონკრეტულ მასწავლებელზე, რომელსაც ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე ბაძავდნენ. ისინი აღწერენ ან ასახელებენ საყვარელ მასწავლებელს, რომელთანაც სწავლობდნენ და რომელიც მათთვის იდეალის განსახიერებად იქცა. როგორც ცნობილია, პიროვნების ავტორიტეტის ზემოქმედების ყველაზე მარტივი და

ISSN 1512-1801

გავრცელებული ფორმა სწორედ უნებლიე მიბაძვაა. ეს დაკავშირებულია ადამიანის ინტუიტურ მთლიანობით აღქმასთან, მისი გარეგნული და შინაგანი გამოვლინებებით. კონკრეტული პიროვნების ხმა, ჟესტები, ქცევის მანერა ფიქსირდება ადამიანში და "ძვირფასი მასწავლებლის" ჩამოყალიბებული ხატი შემდგომში გაუცნობიერებლად წარმართავს მიმბაძველის ქცევებს.

პედაგოგიური მოღვაწეობისას პერსონიფიცირებული იდეალით ხელმძღვანელობის ნაცვლად უმჯობესი იქნება, თუ მასწავლებელი გააცნობიერებს მისთვის ავტორიტეტული პედაგოგის თვისებებს, უნარებს, გამოყენებულ მეთოდებსა და ხერხებს. ეს ხელს შეუწყობს ამ მეთოდების და უნარ-ჩვევების არა მარტო პროდუქტიულ დანერგვას საკუთარ პრაქტიკაში, არამედ მათ შემოქმედებით შევსებასა და განვითარებას. შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი პედაგოგიური უნარი, რომლებიც აუცილებელია პედაგოგის ავტორიტეტის მოსაპოვებლად და მოსწავლეებთან ეფექტური ურთიერთობის დასამყარებლად. ესენია:

- სასწავლო პროცესის შესწავლის, შეფასების, გარდაქმნისა და მართვის უნარი;
- მოსწავლეზე, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის აქტიურ განვითარებად თანამონაწილეზე ორიენტირების უნარი;
- ნებისმიერ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- სასწავლო მასალის შინაარსზე მუშაობის უნარი;
- ცალკეულ მოსწავლეთა რეალური შესაძლებლობების განსაზღვრის უნარი;
- მოსწავლეთა ტიპიური სიძნელეების გათვალისწინების უნარი;
- ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ცოდნის გამოყენების უნარი;
- მოსწავლეთა სიძნელეების მიზეზების საკუთარი მუშაობის ნაკლოვანებებთან დაკავშირების უნარი;
- მოსწავლის შინაგანი რეზერვების რეალიზაციისათვის ხელის შეწყობის უნარი;
- მოსწავლის პოზიციის და შინაგანი მდგომარეობის გაგების უნარი;
- მოსწავლეში ნდობის გამოწვევის უნარი;
- ცალკეული ასპექტების იუმორით აღქმის უნარი;
- საკუთარი პედაგოგიური შესაძლებლობების რეალიზებისა და განვითარების უნარი;
- საკუთარი ემოციური მდგომარეობის მართვის უნარი;
- საკუთარი ძლიერი მხარეების განმტკიცების უნარი;
- მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის უნარი;
- მოსწავლის ზნეობრივი მხარის შეფასების უნარი;
- მოსწავლის სუსტად განვითარებული პიროვნული თვისებების სტიმულირების უნარი;
- საკუთარი საქმიანობის ამოცანებს, საშუალებებსა და მიზნებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარების უნარი;
- საკუთარი პროფესიონალიზმის შეფასების უნარი.

მონაცემები პირად ურთიერთობათა სისტემაში ბავშვის მდგომარეობისა და ამ მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ მასწავლებლებს დაეხმარებათ

ISSN 1512-1801

ბავშვთა ჯგუფში ნორმალური ურთიერთობების დასამყარებლად. რა თქმა უნდა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა. ამიტომ ამ მხრივ რაიმე სტანდარტული რეცეპტების მოწოდება შეუძლებელია. თუმცა შეიძლება დაისახოს ზოგადი მიმართულება ჯგუფში იზოლირებული ბავშვის ურთიერთობათა ნორმალიზაციისათვის.

იზოლაციის ფაქტის გამოვლენით პირველი ნაბიჯი ფაქტიურად უკვე გადადგმულია. მეორე ეტაპია ბავშვის გარიყულობის მიზეზების შესწავლა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გააანალიზოთ საკუთარი დამოკიდებულება ამ ბავშვის მიმართ. ხშირად აღმზრდელები, უნებურად, თავიანთი დამოკიდებულებით აუარესებენ ბავშვის მდგომარეობას. ცნობილია, რომ აღმზრდელის დამოკიდებულება ბავშვებისადმი გავლენას ახდენს ბავშვების ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაზე. ზოგჯერ აღმზრდელი დაუფიქრებელი შენიშვნებითა და შეფასებებით უნებლიედ იწვევს ამა თუ იმ ბავშვის მიმართ არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. დაუშვებელია შენიშვნები, რომლებიც აღსაზრდელის პიროვნებას ეხება: "შენ საერთოდ ზარმაცი ხარ", "შენ ყოველთვის ყველას უშლი". დაუშვებელია მთელი ჯგუფის მისამართით გაცემული განკარგულებები: "არ იმეგობროთ ნიკასთან" და სხვა.

ბავშვის მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს არა მარტო ამ ტიპის შენიშვნები, არამედ ზედმეტი შექებაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ შექებისას ხდება სხვა ბავშვთან შედარება: "აი, რა კარგი ბიჭია ირაკლი, შენ კი არ გგავს". ამგვარი შედარებებისა და დაპირისპირებების შედეგად ობიექტურად მართლაც კარგი ბავშვები ფსიქოლოგიურ იზოლაციაში იმყოფებიან.

პედაგოგი/აღმზრდელი უნდა შეეცადოს ნაკლებკონტაქტური ბავშვის დამეგობრებას ჯგუფთან. ამისათვის რამდენიმე გზა არსებობს:

1) ჩართეთ ბავშვი საინტერესო საქმიანობაში;

2) დაეხმარეთ ბავშვს წარმატებას მიაღწიოს იმ საქმიანობაში, რომელზეც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული მისი მდგომარეობა;

3) შეეცადეთ დაძლიოთ აფექტურობა (აგრესიულობა, გაღიზიანება, ბუტიაობა), რაც ხშირად არის ფსიქოლოგიური იზოლაციის მიზეზი (რა თქმა უნდა, შედეგიც);

4) მორცხვ, გაუბედავ ბავშვს დაეხმარეთ სიმორცხვის დაძლევაში, თავდაჯერებულობის გამომუშავებაში (კარგი შედეგის მიღწევა შეიძლება სხვადასხვა ირიბი ხერხითაც. მაგალითად, ზოგჯერ სასარგებლოა, რომ გარიყული ბავშვის მხარდაჭერა გამოხატონ ავტორიტეტულმა თანატოლებმა).

ყველაზე მთავარია _ თქვენსა და ბავშვს შორის კონტაქტის დამყარების უნარი. ბავშვმა უნდა დაინახოს, რომ მის მიმართ ყურადღებიანი ხართ, კარგად ექცევით. ძალზე მნიშვნელოვანია ჯგუფში მეგობრული და გულწრფელი ურთიერთდახმარების

ISSN 1512-1801

ატმოსფეროს შექმნა. იმისათვის, რომ იზოლირებულ ბავშვს დაეხმაროთ წარმატების მიღწევაში, ზოგჯერ აუცილებელია ისეთი სიტუაციის ხელოვნურად შექმნა,რომელშიც ის შეძლებს თავისი ღირსებების წარმოჩენას, თანატოლთა ყურადღების მიპყრობას.

პედაგოგი/აღმზრდელი, პირდაპირ და ირიბადაც, არსებით გავლენას ახდენს ბავშვებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ეს ეხება არა მარტო უმცროსი ასაკის ბავშვებს, არამედ მოზარდებსაც. მაგალითად, თუ თქვენ მეგობრული, თბილი დამოკიდებულება გაქვთ თითოეულ ბავშვთან, ყოველ მათგანს ეხმარებით სიძნელეების დაძლევაში, ბავშვებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაც თბილი და მეგობრული იქნება, ნაკლები იქნება მათ შორის კონფლიქტები, გაიზრდება აქტივობა, ინიციატივა და სხვა.

შეიძლება გამოიყოს პედაგოგის/აღმზრდელის ჯგუფთან ურთიერთ-დამოკიდებულების შემდეგი სტილები:

1) აქტიურ-დადებითი _ ბავშვებთან მეგობრულია, ეხმარება სიძნელეების დაძლევაში, ხელს უწყობს ბავშვების აქტივობას, ინიციატივას;

2) პასიურ-დადებითი _ ზოგადი დადებითი ემოციური დამოკიდებულების ფონზე გარეგნულად თავშეკავებულია და ურთიერთობებში სიცივეს ამჟღავნებს;

3) სიტუაციური _ ზოგადი დადებითი დამოკიდებულების ფონზე გარეგნულად ხან "ლიბერალია", ხან _ "დიქტატორი";

4) აქტიურ-უარყოფითი _ მკაცრია, მომთხოვნი, ბავშვების სიძნელეებს ნაკლებად ითვალისწინებს;

5) პასიურ-უარყოფითი _ ახასიათებს ფორმალიზმი ან ზედმეტი ლიბერალიზმი, რომლის უკან ბავშვების მიმართ გულგრილობა იმალება.

ვინაიდან პედაგოგიური ურთიერთობის სტილი უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვების ურთიერთდამოკიდებულებაზე, აუცილებელია სისტემატურად მოახდინოთ პროფესიული თვითანალიზი და შემდგომი პროფესიული თვითაღზრდა. თუ თქვენს საფუძვლიან თეორიულ და მეთოდურ მომზადებას თქვენი საგნის სფეროში თან არ ახლავს სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნა და კომუნიკაბელობა, თქვენს საქმიანობაში მაღალ შედეგებს ვერ მიაღწევთ.

ფსიქოლოგიაში შემუშავებული ჯგუფისშიგა პიროვნებათშორისი ურთიერთობების დიაგნოსტიკური მეთოდები (სოციომეტრიული მეთოდები) სანდო ინფორმაციას იძლევა ჯგუფის სტრუქტურის, დინამიკის, ღირებულებების შესახებ. მათი გამოყენებით თქვენ მთელ რიგ ინდივიდუალურ და ჯგუფურ მაჩვენებლებს მიიღებთ _ ბავშვების პერსონალური სტატუსი, სასურველი და მნიშვნელოვანი ურთიერთობების წრე, ჯგუფისშიგა დიფერენციაციის მონაცემები, ლიდერობა და ა.შ.

ISSN 1512-1801

§2. მასწავლებლის და მოსწავლის სკოლისგარეშე ადაპტაციის პრობლემები

პედაგოგის პროფესიული საქმიანობის ერთ-ერთი სპეციფიური მხარეა ბავშვებთან აქტიური ურთიერთობა სკოლის გარეთ, მათი აღზრდის პროცესში (მაგალითად, ინტერნატებში, ბავშვთა თავშესაფრებში, საერთო საცხოვრებლებში, სხვა სპეციალურ დაწესებულებებში). პედაგოგის წინაშე ასეთ შემთხვევებში დგას შემდეგი ამოცანები:

- ბავშვების პერსონალური თავისებურებების დეტალური შესწავლა მათი ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- პოზიტიური მიზნების მქონე შეკრული ჯგუფის ფორმირების დაჩქარება;
- თავისუფლებისა და ნდობის კლიმატის შექმნა, ზომიერი კონტროლისა და ჯგუფის წესების დაცვის მოთხოვნის ფონზე.

ამ ამოცანების გადაწყვეტა უპირველეს ყოვლისა პედაგოგისაგან საჭიროებს ურთიერთობის უნარს და შესაბამის თვისებებს _ გულწრფელობას, ტაქტს, თანაგრძნობას და ა.შ.

იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში ბავშვმა თავისუფლად იმსჯელოს პედაგოგთან მისთვის პიროვნულად მნიშვნელოვან პრობლემებზე, პედაგოგი უნდა დაეხმაროს მას:

- სხვა პედაგოგებთან ან თანატოლებთან კონფლიქტის მოწესრიგებაში;
- საცხოვრებელი გარემოს მოწესრიგებაში;
- ერთ საცხოვრებელ ოთახში მეტ-ნაკლებად შეთავსებადი ბავშვების მოხვედრაში;
- ერთობლივი დასვენებისა და გართობის ორგანიზებაში;
- სწავლის სიძნელეების დაძლევაში.

პედაგოგს ბავშვისთვის დახმარების გაწევის მხოლოდ სურვილი კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ მას უნდა შეეძლოს ბავშვებთან დაახლოება, მათ ინდივიდუალურ და პიროვნულ თავისებურებებში გარკვევა. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგს შეიძლება საუკეთესო სურვილები ამოძრავებდეს, სამწუხაროდ, ბავშვის და ურთიერთობის ფსიქოლოგიის არასაკმარისი ცოდნის გამო ის ბავშვთან ურთიერთობისას არცთუ იშვიათად უშვებს ტიპიურ შეცდომებს. უნებართვოდ ეხება ბავშვისათვის ინტიმურ საკითხებს, მოსაწყენ ნოტაციებს კითხულობს, უტაქტო შეკითხვებს სვამს. შედეგად, ის ძნელად პოულობს ბავშვებთან საერთო ენას. ამგვარი დამოკიდებულების ნაცვლად, უმჯობესი იქნება თუ პედაგოგი დასაბუთებული არგუმენტების მოშველიების გზით დაარწმუნებს ბავშვს, შეაცვლევინებს არასწორ პოზიციასა და ქცევას.

განვიხილოთ ბავშვების გარემო პირობებთან ადაპტაციის ზოგიერთი ასპექტი. თავშესაფრის ტიპის დაწესებულებაში ბავშვის შეგუება არსებულ პირობებთან გაძნელებულია მისი ადრინდელი და ამჟამინდელი ცხოვრების წესების განსხვავებულობის გამო. ყოველდღიურ კონტროლს, გარკვეული დღის რეჟიმის დაცვის მოთხოვნას ბავშვი თავდაპირველად მტკივნეულად განიცდის, რაც მის ქცევაზე და ემოციურ მდგომარეობაზე აისახება (ოპოზიციური ქცევა, გაღიზიანება და სხვა).

ISSN 1512-1801

ერთ ჭერქვეშ ცხოვრებით განპირობებული ძალზე მჭიდრო ურთიერთობები ხშირად გარკვეულ ფსიქოლოგიურ სიძნელეებს იწვევს. ურთიერთობებში დაძაბულობის ზრდასა და კონფლიქტების სიხშირეს განაპირობებს ერთ ოთახში მცხოვრებთა მოსალოდნელი ქცევების თითქმის ზუსტი პროგნოზირება. სიახლის გარკვეული წილი მალე იწურება ხოლმე და თუ არ ხდება მეგობრული დაახლოება, შეიძლება გამწვავდეს ერთობლივი ცხოვრების ნეგატიური მხარეები.

შეიძლება დაისახოს ურთიერთობის სიძნელეთა კორექციის რამდენიმე შესაძლო გზა. ჯერ ერთი, პედაგოგს შეუძლია დაეხმაროს ბავშვს იმის გაცნობიერებაში, რომ წარმოქმნილ კონფლიქტში დამნაშავე არავინაა და რომ სიტუაციის ნორმალიზებისათვის სასარგებლო იქნება დროებით გარკვეული დისტანციის შენარჩუნება, ურთიერთობის საკმარისი ინფორმაციულობის ფარგლებში. მეორე, პედაგოგმა უნდა ასწავლოს ბავშვს, რომ მოთხოვნები ჯერ საკუთარ თავს უნდა წაუყენოს და შემდეგ _ სხვებს, ხელი შეუწყოს პასუხისმგებლობის გრძნობის ფორმირებას. მესამე, საჭიროა ბავშვებისათვის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის გზების გაცნობა და ამისათვის აუცილებელი კონკრეტული ფსიქოლოგიური მეთოდიკების დაუფლება.

ბავშვების გარკვეული ნაწილი სპეციფიური ფსიქოლოგიური პრობლემებით ხასიათდება (მაღალი აგზნებადობა, შფოთვა, დეპრესიული მდგომარეობა და სხვა). აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიურ პრობლემათა უმრავლესობას თან ახლავს არაადექვატური (ძალიან დაბალი ან ძალიან მაღალი) თვითშეფასება. პედაგოგი უნდა დაეხმაროს ბავშვს ადექვატური თვითშეფასების გამომუშავებაშიც.

ხდება ისეც, რომ ზოგიერთი ბავშვი, განსაკუთრებით ახალშემოსული, ჯგუფისაგან გარიყულია, ურთიერთობის დეფიციტს განიცდის, რაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადაპტაციის პროცესის არახელსაყრელი მიმდინარეობის სიმპტომი. ასეთ შემთხვევებში პედაგოგმა უნდა დაადგინოს ასეთი ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელი შეუწყოს ისეთი სიტუაციის შექმნას, რომელშიც ამ ბავშვს გარკვეული დროით ჯგუფში წამყვანი როლი დაეკისრება. ასევე ეფექტურად მოქმედებს სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგები, რომლის დროსაც ხდება ახალ გარემოცვასთან გაცნობა, მყარდება არაფორმალური კონტაქტები და იქმნება ურთიერთობის დადებითი ემოციური ფონი. გარდა ამისა, ტრენინგ-ჯგუფში არსებული ნდობისა და კეთილგანწყობის კლიმატი ხელს უწყობს საკუთარი სიძნელეების გაცნობიერებას და ადამიანს მისთვის ახალი ქცევის ფორმებისაკენ უბიძგებს.

ჯგუფთან ურთიერთობისას კიდევ უამრავი სხვა პრობლემა და საკითხი დგება (ჯგუფში მოვალეობათა ოპტიმალური დანაწილება, ჯგუფის შეკვრა, ჯგუფის მიზანმიმართულების განსაზღვრა, ერთობლივი მოქმედების ჩვევების შემუშავება, ჯგუფისშიგა დაჯგუფებების, ჯგუფის ლიდერისა და ლიდერობის სტილის დადგენა და სხვა), რომელთა გადასაჭრელად პედაგოგი აუცილებლად უნდა ერკვეოდეს ბავშვისა და სოციალურ-პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში, უნდა იცნობდეს სპეციალურ მეთოდიკებს,

ISSN 1512-1801

რომელთა დახმარებით ის ხელს შეუწყობს სტრუქტურულად და შინაარსობრივად ჯანსაღი ჯგუფის ფორმირებასა და განვითარებას.

§3. მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობა

მასწავლებელსა და მოსწავლის მშობლებს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას თავისი მყარი საფუძველი აქვს. ეს გახლავთ ოჯახსა და სკოლას შორის არსებითი განმასხვავებელი ნიშნების დადგენა და მუშაობის აგება ამ განსხვავებული ნიშნების გათვალისწინებით. ოჯახის მთავარი საზრუნავია ბავშვის

ფიზიკური აღზრდა და გაზრდა, უფრო ფიზიკური გაზრდა. ამ ცნებაში იგულისხმება კვება, ჩაცმა-დახურვა, საჭიროების შემთხვევაში მკურნალობა. ოჯახის

მშობლების საქმიანობაში აღზრდის ეს მხარე იმდენად დიდ დროს მოითხოვს, რომ მშობელს კიდევაც რომ შეეძლოს შვილთან პედაგოგიური ღონისძიებების ჩატარება, მას ამისთვის 24 საათიან დღე-ღამის ციკლში, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, სოციოლოგების გამოკვლევით, 10-12 წუთი თუ რჩებათ. მაგრამ ეს მაშინაც უქმად იკარგება, თუ მშობელს პედაგოგიური განათლება არა აქვს და მხოლოდ აღზრდის ხალხური ტრადიციებით კმაყოფილდება. აღზრდის ხალხური ტრადიციები კი ემყარება ჩვენებას და მიბაძვას . მშობლებმა და ოჯახის სხვა წევრებმა თუ უნდათ კარგი აღზრდა მიაღებინონ შვილებს, კარგი საოჯახო და პირადი ურთიერთობების მაგალითები უნდა უჩვენონ. მოზარდები კი მათი მიბაძვით იძენენ წარმოდგენას ადამიანებს შორის კარგი ურთიერთობების შესახებ.

სკოლასა და ოჯახს შორის კიდევ მეტი განსხვავების ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ახლა ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ სკოლასა და ოჯახს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე ბავშვთა გაზრდისა და განვითარების საკითხებში. ამ თვალსაზრისით, პირველ ადგილზე დგას ბავშვის ფიზიკური განვითარების, ფიზიკური წრთობის და ჯანმრთელობის დაცვის მიმართ ერთიანი მიდგომის პრინციპი.

პედაგოგიკაში აღნიშნულ თემას ყველა თეორეტიკოსი ეხება და აღნიშნავს, რომ სკოლასა და ოჯახს შორის მჭიდრო კავშირზე დაყრდნობით სკოლამ მშობლებს შორის უნდა გაავრცელოს პედაგოგიური განათლება.

მშობელთა პედაგოგიზაცია სკოლის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომლის საფუძველიც არის სკოლის მასწავლებლის მიერ თავისი მოსწავლეების ოჯახური გარემოს (სამეცადინო კუთხის, მეცადინეობისთვის ხელსაყრელი პირობების) კარგად გაცნობა. ყველა მასწავლებელი ამას ვერ აკეთებს, ან არ იცის როგორ გააკეთოს.

მასწავლებელთაგან ბევრი ფიქრობს, რომ მან სრული სიმართლე უნდა უთხრას მოსწავლის მშობელს და ამ სიმართლეში იგი ბავშვის ანცობას, უდისციპლინობას, უსწავლელობას გულისხმობს. მეცნიერულად კი დადგენილია, რომ თუ სკოლა უნდა იყოს ოჯახის მოკავშირე და თავის მხრივ ოჯახს თუ სურს იყოს სკოლის მოკავშირე, ყველა მიმართულების კავშირის ვექტორი უნდა გადიოდეს მასწავლებელ-მოსწავლე-მშობლის ურთიერთობაზე. მასწავლებელმა ყოველ შეხვედრაზე მშობელს მისი შვილის მხოლოდ უარყოფით თვისებებზე არ უნდა ელაპარაკოს. ამ შემთხვევაში მივიღებთ უარყოფით შედეგს. მშობელი შეიძულებს სკოლას და მასწავლებელს.

ISSN 1512-1801

ამის გამო მასწავლებლის მხრივ ასეთ პოზიციას ჩვენ პედაგოგიურ სიყალბეს ვუწოდებთ. ყალბია ყველაფერი, რაც უკუშედეგს იძლევა აღზრდაში. მასწავლებელი, პირველ რიგში, ოპტიმისტი უნდა იყოს. შეიძლება მშობელმა შესჩივლოს სანდო და ავტორიტეტულ მასწავლებელს, რომ მისი შვილი ოჯახში საჭირო დროს არ უთმობს საშინაო დავალებების შესრულებას, არ კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას, დროს ხშირად მიზანშეუწონლად ხარჯავს, ოპტიმისტმა მასწავლებელმა მშობელი უნდა დააიმედოს მისი თანადგომით და გააძლიეროს მოსწავლესთან აღმზრდელობითი მუშაობა.

ცნობილია, რომ აღმზრდელობითი პროცესი წარმატებით ხორციელდება, თუ აღმზრდელი დადებითზე დაყრდნობით ცდილობს პიროვნების აღზრდას. არადა, არ არსებობს ბავშვი, რაოდენ ზარმაცი, დაუდეგარი და თავნება იყოს, მასში ერთი კარგი თვისება ვერ აღმოაჩინოს პროფესიონალმა აღმზრდელმა.

ძალზე მნიშვნელოვანია მშობლების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. აღსაზრდელთათვის მნიშვნელოვანია მშობლების სისტემატური ყურადღება, თანადგომა და თანამშრომლობა, რასაც განაპირობებს მშობლის შეგნებული დამოკიდებულება სწავლა-აღზრდისას შვილის პრობლემებისა და შეცდომებისადმი. ამ უკანასკნელს განმსაზღვრავს მასწავლებელთა ქცევა და საუბრები მშობლებთან შეხვედრისას. მეცნიერებაში დიდი ხანია აღიარებულია, რომ კარგი განწყობილება და ღიმილი თუ სასკოლო და საოჯახო ცხოვრების გაბატონებული წესია, მოსწავლის ინტელექტუალური უნარების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო წარმოიქმნება. მოსწავლეებში კარგი განწყობა და ღიმილი იზრდება, როცა კარგად ასწავლიან. თუმცა მასწავლებლის მიერ საკუთარი მისიის სრულად შესრულება არ ამოიწურება კარგად სწავლებით სკოლაში. მასწავლებლის მუშაობა მშობელთან მიზნად ისახავს სკოლასთან ოჯახის ორგანული კავშირის განმტკიცებას, რაც ისევ მოსწავლის ახალი ცოდნის გამდიდრებაში გამოიხატება. სკოლის კვალდაკვალ ოჯახიც უნდა ცდილობდეს მოსწავლის მუშაობა საშინაო დავალებების შესასრულებლად იყოს საქმიანი, გააზრებული, პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცება ხდებოდეს. გააზრებული სწავლის საუკეთესო საშუალებად კლასიკურ პედაგოგიკაში მიიჩნევენ სხვისთვის სწავლებას. იან ამოს კომენსკი წერს: „როცა მოსწავლეს მუდამ ექნება საშუალება შეასრულოს, ასე ვთქვათ, მასწავლებლის მოვალეობა, ის იგრძნობს ერთგვარ მხნეობას და სწავლის ხალისს და გამოუმუშავდება გამბედაობა, რომ საზოგადოების წინაშე გატაცებით ილაპარაკოს ყოველგვარ მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ცხოვრებაში .“ [6, გვ. 187]

კლასიკური პედაგოგიკის წიაღიდან მომდინარე ეს იდეა, სამწუხაროდ ფართოდ ვერ დაინერგა ოჯახებში, პირველ რიგში, იმის გამო, რომ მშობელთა პედაგოგიზაცია, რასაც სკოლის მასწავლებლები ატარებენ, უმეტესად ფორმალურ ხასიათს ატარებს. მასწავლებელთა ურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან სწორედ იმიტომ დგას დღის წესრიგში, რომ ამაღლდეს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე. რამდენჯერაც უნდა შეხვდეს სკოლის მასწავლებელი მშობელს, გაუკრიტიკოს შვილი და მშობლისაგან მოითხოვოს ყურადღების გაძლიერება, პრობლემა - მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონე - მაინც უცვლელი დარჩება, პირველ

ISSN 1512-1801

რიგში იმიტომ, რომ ყველა საგანს ყველა მშობელი ვერ ასწავლის შვილს. მეორე, ყველა მშობელს არ გააჩნია ცოდნის ის მარაგი, თუნდაც ერთ საგანში თანამედროვე პირობებში ზედმიწევნით ასწავლოს შვილს ოჯახში. მესამე, კიდეც რომ იცოდეს მშობელმა ის საგანი, რომელშიც ჩამორჩენილობის გამო საყვედურს ეუბნება მასწავლებელი, მშობელს ოჯახში არა აქვს იმდენი თავისუფალი დრო, დაუჯდეს შვილს და არა მხოლოდ აუხსნას, არამედ დაასწავლოს კიდეც.

მასწავლებლისა და მოსწავლის მშობელს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების მთავარი მოტივია მასწავლებლის ერუდიცია. მასწავლებელმა არა მხოლოდ ცოდნით, არამედ განათლების ძალით, ერუდიციით უნდა დაარწმუნოს მშობელი თავისი რეკომენდაციების ჭეშმარიტებაში. ამას მედიცინაშიც ფართოდ იყენებენ და მას ლოგოთერაპიას, ანუ სიტყვით მკურნალობას უწოდებენ, მაგრამ განა ყველა მკურნალ-ექიმს შეუძლია გამოიყენოს თავის პრაქტიკაში ლოგოთერაპია. ლოგოთერაპიას მხოლოდ მაღალი ერუდიციის მქონე ექიმები მიმართევენ და ავადმყოფებსაც სჯერათ მათი.

მასწავლებლისა და მოსწავლის მშობლის ურთიერთობა ცოცხალი საქმეა. იგი სისტემატურად უნდა იხვეწებოდეს და მდიდრდებოდეს შინაარსით. მასწავლებელთან შეხვედრას უნდა ნატრობდეს მშობელი. ასეთ პედაგოგს შეუძლია გაღიზიანებისა და ნერვოზული სიტუაციებისაგან დაიცვას მშობლებიც და აღსაზრდელებიც, რაც მოსწავლეთა ჯამრთელობის შენარჩუნებისა და სწავლების მაღალი ხარისხის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი. , ჭოხონელიძე ნ. , კოსტავა ნ. ,, სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება" ქუთაისი 2005 წ;
2. ბასილაძე ი. კოხრეიძე ქ. ,, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები" ქუთაისი 2004წ;
3. დუმბაძე ნ. ,, რჩეული თხზულებანი " წიგნი IV, თბილისი 1974წ;
4. ვასაძე ნ. ,, პედაგოგიკა " , თბილისი 2000წ;
5. კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
6. კომენსკი ი. ა. ,, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი " ტომი I, თბილისი 1949წ;
7. www.mastsavlebeli.ge
8. www.naec.ge
9. www.mes.gov.ge